



მხატვარი — მშენიერი პეიზაჟია და მენანება, რომ გამოფენაზე გატანას ვერ ვასწრებ.
კოლეგიური — არხეინად ბრძანდებოდეთ, მე მოვასწრებ ჩვენს გამოფენაზე გატანას.

6 0 8 6 0

№ 11 გამოცემა „კომუნისტი“ ფონ XXXIII. ფასი 2 ლა. მაილისი იანვერი 1955

მაცხოვართა ურილობის დღეებში

ერთ ქართველ მხატვარს თავის პრეზიდიუმში სასწრაფო საქმე გაუჩნდა. მართალია, საქართველოს მხატვართა ურილობის წინადელ იყო, მაგრამ, მოგეხსენებათ, მხატვარიც ადამიანია და მასაც ყოველდღიური, გადაუდებელი საჭიროობრო საკითხების მოგვარება ესაჭიროება.

მხატვარი ნელი ნაბიჯით აძვევა კულტურის სამინისტროს შენობის კაბეს, ხელოვნების მთავარ სამართველოს დერეფნისეკნ გაუხვა და ხელმარცხნივ, უსინათლო, ბეჭედ თახას მიადგა. ამ თახში მოთავსებულია მხატვართა კავშირის პრეზიდიუმი, იგივე თახახია კავშირის თავმჯდომარის „კაბინეტი“, იქვე სხედან მდიდარი, ბუხბალტერი...

თახი ღია დაუხვდა მხატვარს, მაგრამ შიგ მხოლოდ ბუხბალტერი იმყოფებოდა. თავმჯდომარე იქითხა. ბუხბალტერი დერეფნის მოპირდაპირე კარისკენ შიუთითა — „იქ გადავიდნენ“.

მხატვარმა დერეფანი გადასჭრა. ხელოვნების მთავარ სამართველოს უფროსის აბრა დაეფარა ქალალდა, რომელიც იტყობინებოდა, რომ ამ თახში საქართველოს მხატვართა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის კაბინეტი იყო მოთავსებული; ხელოვნების სამართველოს უფროსის მოადგილის თახი მხატვართა კავშირის პრეზიდიუმს დაეკავებინა.

ჩვენი მხატვარი დიდად გაახარა თავისი კავშირის მიმართ ასეთმა ყურადღებამ. თავმჯდომარებაც და პრეზიდიუმის წევრებსაც ყრილობის სამართვის ციებ-ცეტელება მოსდებოდათ. ლირსეულდა ხედებოდნენ საპატიო სტუმრებს. — მოსკოვისა და კიევის, მინსკისა და ერევნის, ბაქოსა და რიგის წარმომადგენლებებს. მომხსენებლები უკანასკნელად აზესტებდნენ თავანთ მოხსენებებს, მხატვართა გამგეობის პრეზიდიუმის წევრები საერთო საბრძოლო გეგმებსა და ონისისიგებებს ადგენდნენ.

რასაკვირკველია, იმ დღეს ჩვენს მხატვარს არავინ მოუსმინა (ვის ჰქონდა ნისი თავი!), მხოლოდ მეგობრულად ურჩიეს ყრილობის შემდეგ შევლო... .

ჩვენი მხატვარიც ასე მოიქცა. როდესაც ყრილობის მღელვარე დღეები დაცხა, იგი კვლავ მხატვართა კავშირისკენ გაეშურა. ხელოვნების მთავარ სამართველოს დერეფანში შევიდა, ხელმარჯვნივ გაუხვა, კარი გამოაღო და ერთბაშიდ შედგა: მისაღებ თახში კვლავ ხელოვნების სამართველოს უფროსის მდივანი იჯდა, აბრას შეხედა — ისევ ხელოვნების სამართველოს უფროსის კაბინეტი! ..


— მხატვართა კავშირი თავის ძეველ თახში გადაბარგდა! .. — შეკითხვა არც კი აცალა, ისე მიახალა მდივანში გაოცებულ მხატვარს, რომელმაც ბოდიში მოიხადა და გამობრუნდა... მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი, კავშირის თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი, ბუხბალტერი... ისევ იმ პატარა, ჩაბნელებულ თახში შესახლებულიყვნენ.

ჩვენნა მხატვარმა შემდეგ გაიგო, რომ თურმე მხოლოდ ყრილობის დღეებისათვის დაეთმოთ მხატვართა კავშირისათვის შესაფერი ბინა — ჩამოსულმა სტუმრებმა არ დაგვძრიანო!

8. სიმონიშვილი

სამონიშვილი

ისრაელის
სამართლებრივი კონსტიტუციის
მიხედვის მიზანი



აზოცანა № 1

ეკაე წერეთლის თხზულებათა 15-ტომიანი კრებულის გამოცემა, რომელზედაც ხელისმოწერა 1950 წელს ჩატარდა, გეგმით უნდა დამთავრებულიყო 1953 წელს.

ამოცანა გვეკითხება: რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი და საქ. სახელმწიფო გამომცემლობა როდის მოიცლიან გურამიშვილის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი წერეთლის /და სხვა ქართველ კლასიკოსთა სრული თხზულებების გამოსაცემა/, თუ 1955 წლის მეორე კვარტალისათვის აკაეს თხზულებათა სრული კრებულის მხოლოდ 3 ტომია გამოცემული, ხოლო ინსტიტუტის მოქნილი მუშაობის შედეგად, გამოცემულ ტომებშიაც ცველაფერი რიგზე არ არის. (ამოცანის ამოხსნის გასაადგილებლად სურათზე ნაჩვენებია აკაეს გამოცემათა სარედაქციო კოლეგიის სხდომა).

აზოცანა № 2



თბილისში, აქა-იქ, ჯერ კიდევ ვხედავთ კეთილმოუწყობელ ქუჩებს, ზოგან ტროტუარებზე ასფალტი აყრილი, ზოგიერთი სახლის ფასადი საცოდავად გამოიყერება...

ამოცანა გვეკითხება: ხომ არ დაავიწყდა თავისი ამოცანა ქალაქის საბჭოს?

აზოცანა № 3

ხელისმოწერა რუსულ-ქართულ ლექსიკონზე, რომელსაც გამოსაცემად ჯერ საქ. მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული კომისია ამზადებდა, ხოლო შემდეგ ენათმეცნიერების ინსტიტუტს დაევალა, ჩატარდა 1951 წელს. გეგმით წიგნი უნდა გამოსულიყო 1952 წელს. საქართველო მეცნიერებათა აკადემიას მაშინვე გადაურიცხა ხელისმოწერით შეგროვილი 80.000 მანეთი.

ამოცანა გვეკითხება: როდის დაურიგდებათ ხელისმოწერლებს აღნიშვნული ლექსიკონი, თუ წიგნზე მომუშავე კომისიის სისწავე უკუკრობორიულია ხელისმომწერთა დაუცხრომელი სურვილისა — რაც შეიძლება ჩეარა მიიღონ შეპირებული ლექსიკონი.



გამოცანა: სურათზე ნაჩვენებ ტროტუარებუსთაგან რომელი გვიჩვენებს ადგილიდან დაძრის მომენტს და რომელი — გაჩერებას?



— ეს, კიდევ კარგი, დედამიწა ბრუნავს, თორემ მოელი დღე ერთ ადგილზე დგომა მართლაც მოხაწყენი იქნებოდა.

სასტანი ნიჭის

შინაური ცხოველებიდან კაცს გამორჩენის მეტი რა უნდა ახსოვდეს? ისინი ადამიანს იმიტომ მოუშენებია, რომ გაიხაროს მეოჯახე გული და რამდენადმე ხელიც მოითბოს. მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინ რომ არსენ საიჯანოვს საკუთარმა ძროხამ თინი უყო, იმის მაგვარი შემთხვევა არც წიგნში წამოვითხავს და არც სხვაგან გამიგია.

პირველი დანახვით კი ვერაფერს შეატყობნა კაცი, ძროხა იყო, როგორც ძროხა — ჩვეულებრივი რქებით და გრძელი კულით, ფერი შეინდისა ქონდა და ლაქები ყორნისფერი, სახელიც ისეთი მშეიღობიანი ერქვა, რომ კაცს არათუ თავს შეაბრალებდა, გულსაც აუჩუუებდა; წიქარას ეძახდა თეთრი წყლებიდან თბილისის ბაზარში ჩამოსული ხევსური.

- ძროხა შენია, მოყვარევ? — შეეკითხა საიჯანოვი.
- ჩემია, მაშ ვისი იქნების?
- რას იწველის?
- რეს იწველის, სხვას რას უნდა იწველიდეს!
- ვაძ! რამდენს იწველის-მეთქი?
- ორ სახინკლე ქვაბსა!
- ეგ რამდენი იქნება?
- ბევრ, ძალიან ბევრ იქნების!
- ისე შთამომავლობაზე როგორ არი, მუცლის მოწყვეტა ხომ არ იცის?
- კარგი რამ ბატება იცის და, რაც ჩვენს ხელშია, საფურეს მეტი არა უშობია რა...

მორიგლენ... საიჯანოვმა 4000 მანეთი ჩაუთვალა, ხელზე ხელი შემოკრა და ტანმორჩილი ძროხა თავის საკუთარ ბოსელში თავისივე მამისერთა ძროხას ამოუყენა გვერდში.

კარგად შეეწყო წიქარა გარემოს, დილით საგულდაგულოდ შერჩეულ ბალას შეექცეოდა და სალამოთი — სიმინდში აჩეულ ქატოს, ისე გასუქდა და დამშვენდა, ავ თვალს არ დაენახვებოდა. მხოლოდ ცუდი ის იყო, რომ გამრავლებაზე სასტიკ უარის აცხადებდა.


უცლიდა არსენა წიქარას, 9 თვე უცადა, მაგრამ რაკი შეატყო ძროხამ დედობაზე საბოლოოდ უარი განაცხადა, სასაკლაოში მიიყვანა და ისევ ფულად აქცია.

მაგრამ სტაცის ხელი არსენას, აქტი შეუყენეს და სპეცულანტობის მუხლი შიუყენეს. ბევრი იუარა არსენამ — „სპეცულანტი არ ვარ, ძროხა ვიყიდე, ძროხა გავყიდე, იმდენი სარგებელი ვნახე, რამდენიც 9 თვე შესანახი საქმელი ღირდა“, მაგრამ ვინ დაუჯერა? 5 წლის თავისუფლების ალკვეთა მიუსაჯეს და წიქარას ნათელ ხსოვნას ზვარაკად შესწირეს.

მას შემდეგ ეძებენ არსენას და ეძებს არსენა სამართალს, იპოვნის თუ იპოვნიან — ეგ კიდევ კარგად არავინ იცის, მაგრამ სპეცულანტობას რომ ჩვენში საკუთარი ძროხის გაყიდვას არ ეძახიან, განა ჩვენმა სასამართლოს მუშაკებმა არ იციან?



— მინდია, ცხვარი რა უყავი?
— თავმჯდომარის ცოლის მშობიარობას გადაუყა, უნიკენებამ.



უნუქა კვდება, ხალხო, ჩვენი ენუქა!

ჭალარი თავი სასოფლაოზე აქვს მისვენებული და გარინდებული, სიკედლით გაოგნებული, ხამუშ-ხამუშ კვნესა აღმოხდება ხოლმე. ცალ ყბაზე ობოლი ცრემლი ჰქიდია და, განუკითხავ ბედთან საბოლოოდ შერიგებული, მღლვარებასაც ველარ ახერხებს.

რაო, რა ბრძანეთ? ვინ ენუქაო? როგორ გექადრებათ, ენუქას როგორ არ იცნობთ! ხუთიოდე წლის წინათ, რუსთაველის პროსპექტზე ნუთუ გასტრონომიულ მაღაზიაში არ შევივლიათ და იქ ერთავად მოუფესუს ჩიქორა მაქლერი არ დაგინახავთ? დიახ, დიახ, ჭრელთვალი, ოდნავ ჩიტურა... არ გახსოვთ? მომითმინეთ, არც კვირაცხოვლის ექლესიაში შებრძანებულხართ ამ ოცდათი წლის წინათ? საცეცხლურიან კაცს შეამჩნევდით, გამხდარს, მარჯვენა ხელი, რომლითაც საცეცხლური ეჭირა, ყოველთვის მაღლა ჰქონდა აწეული, რადგან ეშინოდა საქმეველით გამოტენილი წმინდა ხელსაწყო იატაზე არ გაეხაუნებინა. კვირაცხოვლის დიაკვანი ქუქა როგორ არ გახსოვთ, წირეალოურა რომ მოღილან გამოვიდა, მღვდლების ოინებს გვიამბობდა ხოლმე და თვითონ ჩვენს მეტად იციოდა! არ გახსოვთ? რა მეშველება, როგორ გაგასენთ!

მოიცათ, მოიცათ! ლექსების კითხეა თუ გიყვართ, ოდესაც მის ოცფურცლიან წიგნაქს გადათვალიერებდით, მებურეთა არტელმა „რაჭამ“ რომ გამოამზეურა და სახაბაზოებში ყიდნენ. პოეტი? არა, პოეტი არ გახლდათ. ეს ლექსები ვიღაც მეზურნისაგან ნალდ ფულზე შეიძინა და შემდეგ თავისი სახელით გამოაცემინა, „მე გამოვთქვიო“. არ გახსოვთ? კარგით, როგორმე გაგასენთ!

ცხრაას ოცდათექვსმეტზი გაზეთებში რომ ერთი ამბავი ატყდა — „დიდი გაფლანგვააო“, აბა, გაიხსენეთ. არტელის თავმჯდომარეები რომ გაასამართლეს, ბთ-ათი წელი რომ მოუსაჯეს... სამი წლის წინათ სასაფლაოს გამგედ არ იყო? მიწის ეკონომიას რომ ეწეოდა და ერთ ადგილს სამ მკედარზე ჰყიდდა. დიახ, დიახ, ჩიტურა ენუქა, შემდეგ კონდუქტორად მუშაობდა ავტობუსში!

ხომ გაგასენდათ!... არტელის თავმჯდომარების შემდეგ რამდენ ხანს იყო საბატიმროში? რა მოგახსენოთ, ამას წინათ მისი

საკვამური მიღი წახდა
და სახლმართველს უთხრა მდგმურმა:
— ჩემი ყოფა ტანქუა გახდა,
რა გავაწყო უბედურმა?
თუ აკანთე, სუღი მხედვა,
ბორი მოსჩეფს, როგორც წყარო,
ეგებ ბინის შეკეთება
ცოტა მაინც გააჩქარო! —
სახლმართველმა უპასუხა
ისე, რომ არც განძრეულა:
— შეკაცო, რამ შეგაწუხა,
ჭერ ხომ მოდად არ დანგრეულა?
ვერ ვიჩქარებ, რომ არა თქვა
იქითური, აქეთური
და ჩვენმა რევკომისიამ
არ მომარტყას საყვეღური.
ნააღრევი შეკეთება
რა გეგმაში ჩავსვა, ბრძანეთ,
ხომ იცით, რომ დაცვა უნდა
მშენებლობის ყოველ მანეთს!
ერთი სიტყვით, ვნახოთ... „ნახა“,
რაღა ბევრი მოვაყოლოთ:
მმართველს ურცელი განკარება
ნახევარ წერს ეღო მხოლოდ!
ამ ხანში და ამდენ ცდაში
ვით გაეძღვ საკვამურსა?
დაინგრა და მხოლოდ მაშინ
„შეუკეთეს“ მიღი მდგმურსა!

8. სტილოვი

პირადი ანკეტა გადავათვალიერე და პატიმრობის შესახებ სიტყვაც არსად არის ნახსენები. სამაგიეროდ სხვა საინტერესო რამ შევიტყვე ამ ანკეტაში. ენუქას ერთ დროს შიკრიკად უმუშავნია სახელგამსა და ერთ-ერთ თეატრში...

მაშ ასე, ენუქა კვდება, მრავალნაცადი ენუქა განკითხვის წუთს მოელის!

დარბაზში, საღაც ენუქამ უნდა განისვენოს. (ოჯახის წევრები „ზალას“ უწოდებენ და ჩვენც პირდაპირ ვთარგმნეთ). სრული სიწყნარეა. კუთხეში გარინდებული კამეჩივით დაყუდებული „სტენ-ვეირის“ ფირმის როიალი, რომელზეც შალითაგადაფარებული არღანი დგას, ამ ზალითის ერთი ძხარე ადამიანის ხელს საგანგებოდ ისე აუწევია, რომ არღნის გვერდიდან ვერცხლის ასოებით წაწერილი „ოდესა“ გამოკრთის. დარბაზის მეორე კუთხეში ნაპოლეონის ნაქონი მაგიდა დგას. შავი. მუხის საჭრი მაგიდა. ზედ გადაფარებული ხავერდის სუფრა თითქმის მთლიანად ფარავს მშვიდი ნერვების მქონე კაცის ხელით გამოყვანილ ჩუქურმას; სუფრაზე უწესრიგოდ აწყვია: თამბაქის მოზრდილი ყუთი. პაპიროსის ჰილზის გასატენი მოწყობილობა, წაქცეული გლობუსი და თორმეტი წლის წინათ ამოშშირალი სამელნე. „სტენ-ვეირის“ ოცდაორი წელიწადია თითი არ დაჭარებია. ნაპოლეონის მაგიდაზე კი, რომელზედაც ასე სიმბოლურად დაგრავას საფრანგეთის მხრიდან შექმლეტილი გლობუსი, ხელის სისქე მტვერი დევს.

დარბაზის დანარჩენი ნაწილი უკავია ერთიმეორეზე მიჯრით მიწყობილ წითელი და შავი ხის სხვადასხეა ავეჯს, ისე რომ ცალი მხრიდან მხოლოდ ერთი კაცი გაივლის. კედლები ძვირფასი ნობებითაა მოფენილი და ერთ მხარეს ნოხზე მიმაგრებულია. ტალოზე ნარდიბაზრული ამოქარგული მახინჯი ლომი, ხოლო მეორე მხარეს ხის უბრალო ჩარჩოში ჩასმული უკანარი სურათია: წყლის პირას, ქვაზე ზის კირილე პაჭორიას გუნდის რომელილაც ჩიტურასანი მომლერალი, ხელში მათრახი უჭირავს და ცრემლმომდინარე გამყურებს საცოდავ ქურანს, რომელიც ქვას ლოკას ბალანის ძმიერი. საწყალი ზიჩი!

ენუქას სასოფლაოთან მისი ვაჟეაცები სხედან — პირბადრი სოკრატა და ტანადსარო ბაგრატა. ცხვირი ორივეს ერთ დონეზე აქვს დაზებული, ორივე მამას ეთხოვება.

ავადმყოფმა უცებ ცალი თვალი გაახილა, მოხედა და ზიქელ-

გაბრიელის მაგიერ შეიღებს გაულიძა. ბიჭებს შეების ოხრა აღმოხდათ.

— მგონი უკეთესად ვარ, ბიჭებო, მადლობა ღმერთი! — ამო-ილულულა ენუქამ და განაგრძო, — ახლო მოიწით, ანდერძი უნდა გითხრათ.

ბიჭები ძუძუს გოქებივით გატვრინდნენ. ენუქამ კი განაგრძო: — ქონება უნდა დაგიტოვოთ, თქვენთვის უცნობი დიდალი ქონება. ვიცი, გაყოფაზე ჩხუბა არ მოგივათ.

— სად არის? — სიხარულით კინალამ წამოხტნენ ბიჭები.

— აი, აქ, ამ თავში! — თქვა ენუქამ და მოტველეპილ თავზე თხით თითი გადაისვა, — არავითარი სიმდიდრე ახლა ისე ძეირფა-ნი არ არის, როგორც ცხოვრების ცოდნა და გამოცდილება. ცხოვ-რების ცოდნა მარტო მწერალს როდი სჭირდება.

ბიჭებზა ერთმანეთს გადახე-დეს. ენუქამ კი ცალი ფეხი გა-ქიმა და განაგრძო:

— ყური დამიგდეთ, ბიჭებო, სანამ პირში ტანჯული სული მიღდგას, რჩევა-დარიგებას მოგ-ცემთ. ჩემს ნათქვამს თუ კარგად დაიხსომებთ და ცხოვრებაში ვა-მოიყნებთ, თქვენზე უკეთესიდ მოწყობილი არავინ იქნება. მის-მინეთ.

და ენუქამ დაიწყო...
რა უაშბო ენუქამ შეიღებს, ამას შემდეგ ნომრებში მოგახსე-ნებთ.


8. ივანიშვილი



ლიტერატურული წრე



ხახითი ხელოვნების წრე



დასვენების კუთხე

ნახ. ა. ჯიშეარანია

ჩვეულება ჩაულზე უმგებესია



— პატივცემულო თამადავ, ყანწი გელოდებათ..
— ხვალ შემოიაროხე...

ნაციონალური მასოფო

შესრულები შტატი



— გვინალური იყო თქვენი ხიდა, ცეცხლი დანორთ ტრიბუნიდან; თანზე ურუანტელი უვლიდა ხალხს. — მოყვარა ხელეჭვით მმართველს კრების შემდეგ.

— ეს უველაური კარგი, მაგრამ ჩეცლია რაოდ არ მესროლე, დაგა- ვაწყდა?

— მოხდა დიღი გაუგრძინობა, არ- ტემ არტებიჩ, ის-ის იყო დაგაპირე ინდიკია, მესროლა, დაგალე პირი... მაგრამ გვერდიდან ვილაცა ისე მიჩრიდა, რომ ჯოჯონხეთური ტკივილი ვიგრძენი.

— რა მოხდა ასეთი?

— ჩემს დირექტორს ევნა, რომ თქვენთან უშუალესებლად გაპირებდი რეპლიკის სროლას და ხმა ჩამატენდინა.

წილახედული მკერავი

შერავთან თრი კაცი მივიდა. ერთ ნაცნობი იყო, მეორე—უცნობი.

— ვანო, აბა შენ იცი, — უთხრა შერავს ნაცნობმა, — ამ პარავცემულ ახანაგს განსაკუთრებული მინდომე- ბით უდა შეუძლია კონტიუმი... დღეს დანიშნეს სწორედ ჩემს უშროხად. — ჩემთან ჩახურისულა უკრიზ.

ვანომ უხანისიერობ, თვალით გაზომა მედიური გამომეცემულების ჩინ ტანის კაცი და სიცუა მისცა—შემოქმედებითად მიჰუდები ამ ხაშუშობო.

— ზომას რატომ არ იქნება? — შეეკითხნენ ჩას.

— თქვენ ეგ ნუ გედარდებათ, ჩემი ხელმისა მე ვიცი, — დაამზებით ისინი ვანომ.

ერთ კორის შემდეგ კოსტიუმი მართლა მზად იყო, მაგრამ მის გამოხხნას რატომლაც აყვინებდნენ. ბოლოს როგორც იქნა გამოჩნდ ნაცნობი.

იგი ჩეცულებრივებ უფრო მორიდებით იქცოდა.

— გაგაწვალეთ კი, ახანაგ ვანო, მაგრამ ხაქმე იმაშია, რომ მაგ კოსტიუმის გადაკეთება მოგიხდებათ... სისრულეში წავიდა ჩენი უფროი, ხა, ხა, ხა. — ეშმაკურად ჩაიურუტუნა მან. ვანოსაც გაედინა და დარწმუნებით მიუვა:

— არაურის გადაკეთება არ არის საკირო, მე ეს კოსტიუმი დევილი უფროსის ზომაზე შევეკრე, განა არ ვიცი, იმ ადგილზე უველა ერთი ზომით იძერება?



სუმორისტული პლაკატი ლენგრენისა. (ამოღებული: პოლონურ ურნალ „შპილი“-დან).

ჭრის უკიდურესი

ერთობები
და დამოუკიდებელი

ამას წინათ ნიანგმა მოიწვია ფეხბურთის მაყურებლები—სხვა- დასხვა პროფესიის წარმომადგენლები და ყველას საერთო კითხვა დაუსიგ: „რას იტყვით თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებზე?“

მოვეყვანს ზოგი მათგანის პასუხი:

დამცილთა კოლეგიის წევრი: სახელმოვანმა სენიორმ შეიძ- ლება შენც გაგითქვას სახელი. ამჟამად, პირიქით დამემართა: თბილისის „დინამოს“ დამცილებმა სახელი გამიტებეს—სასამართ- ლოს მსველობის დროს ჩემს კლინიტებს ეჩვენებათ, რომ სულ მოწინააღმდეგ მხარეს ვეხმარები საქმის მოგებაში.

სახურავის მეცარი: სად ჩემი და სად „დინამოს“ მეცარის თავაზიანობა: სტუმრებისათვის სულ ღია აქვს კარები...

ბუხბალტერი: ერთ-ერთ თამაშებ ალრიცხვა ვაწარმოე: რამ- დენი ბურთიც გაგზავნეს კარში მოწინააღმდეგის თავდამსხმელებ- ბია, იმდენივე ჩენმა მეცარემ გაუშვა, ე. ი. სულ რომ არ ეთამაშნა მეცარეს, არაფერი შეიცვლებოდა. ჩენმა მცველმა სამჯერ გაუ- გორა ბურთი მოწინააღმდეგის და სამჯერვე გოლი გაგვიტანეს, ე. ი. მცველსაც რომ არ ეთამაშნა, შეიძლება მატჩი არ წავვეგო. მსგავსი მსჯელობით გამოვიყანე საბოლოო ბალანსი: საქართვის თბილისის „დინამომ“ ხიედან გამოიყანოს მხოლოდ ერთი კაცი—გუნდის კაპიტანი. შეიძლებოდა ისიც არ გამოსულიყო, მაგრამ მსაჯესა და მოწინააღმდეგე გუნდის კაპიტანს ვინ უნდა ჩამოართვას ხელი!

მილიციონი: მე რა უნდა გითხრით, სტადიონის ტრიბუნებზე წესრიგს ვიცავ, თან ჩენი „დინამოს“ თამაშს ვუყურებ. მა- გრამ თამაშიცა და თამაშიც—ფეხს არ ანდრევნ, უსაქმოდ გაჩე- რებულან და პირი დაულიათ. გულში კი ვფიქრობ ხოლმე: „აბა, მოქალაქე, ნუ გავჩრდებით, გავიაროთ, გავიაროთ!“ მაგრამ საქე არა გაქვთ? სათამაშო მოედანზე ჩემი უფლებები არა სჭრის, მსაჯე კი დაჯარიმებისა რა ესმის!..

ლიტრატურის კრიტიკოსი: ამხანაგებო, ამას წინათ, ჩენმა მხცოვანმა „დინამომ“ კიდევ ერთი ახალი მატჩი ჩატარა ფეხბურ- თის პირების თემაზე. უნდა ითქვას, რომ სარეცენზიო მატჩი არ გამოიჩინება თავისი ორიგინალობით: იგი წინა თამაშე- ბის უნიკო გადამღერებაა. უფრო მეტიც — თუკი წარსულ მატჩებ- ში ავტორთა ჯგუფი ალწევდა თამაშის სიწმინდესა და ლაპიდა- რობას, სწრაფვის სიუეტის განვითარებისაკენ, უკანასკნელ მატჩში ჩენ ამას ვერ ვხედავთ. ავტორთა ჯგუფს ემჩნევა „ბ“ კლასის გალენა, რომელსაც იგი ჯერ კიდევ 1935 წელს განიცდიდა. რა- შია საქმე, ამხანაგებო, სად უნდა ვეძოთ ჩენ წარუმატებლობის მიზეზი? მე ვფიქრობ, საქმე იმაშია, რომ სარეცენზიო მატჩში სანთლოთ რომ ეძიოთ, ვერ ნახავთ დადებით გმირს. არც ერთ მოთამაშეს არ გააჩნია ტიპიური ფეხბურთის თავისები. უკანასკნელ მატჩში დაწინააღმდეგის გადაკეთება მოგიხდებათ... სისრულეში წარმომადგენლების მიზეზი? მე ვფიქრობ, საქმე იმაშია, რომ სარეცენზიო მატჩში სანთლოთ რომ ეძიოთ, ვერ ნახავთ დადებით გმირს. არც ერთ

მოთამაშეს არ გააჩნია ტიპიური ფეხბურთელის თავისები. უკანასკნელ მატჩში დაწინააღმდეგის გადაკეთება მოგიხდებათ... ერთ მოთამაში განვითარებისაკენ, უკანასკნელ მატჩში ჩენ ამას ვერ ვხედავთ. ავტორთა ჯგუფს ემჩნევა „ბ“ კლასის გალენა, რომელსაც იგი ჯერ კიდევ 1935 წელს განიცდიდა. რა- შია საქმე, ამხანაგებო, სად უნდა ვეძოთ ჩენ წარუმატებლობის მიზეზი? მე ვფიქრობ, საქმე იმაშია, რომ სარეცენზიო მატჩში სანთლოთ რომ ეძიოთ, ვერ ნახავთ დადებით გმირს. არც ერთ

შეელი ფეხბურთელი: ერთ დროს მეც თბილისის „დინამოს“ გუნდის წევრი ვიყავი, თუმცა მაშინ ფეხბურთს ვთამაშოდით.

მლებავი: მეხუთე წელია, რაც სტადიონის ტრიბუნების შეებეგაზე ვმუ- შაობ. სტადიონს არც იარსია ეგატება, არც რიგები, ჩემი სამუშაო კი ყველ წელს გატულობას. დასჯალომ ნომრებზე მრგაბისენებთ, ყოველ სეზონში უფრო და უფლოვდებით ერთმანეთს, წელს კი მათ შორის ფუნჯსაც ძლიერ კუსვამდინ. ადგილების გაზრდის მაგირა ჩენი ფეხბურთელების რიგები რომ გაეზარდათ, ურიგი საქმე არ იქნებოდა. ოჯ, ერთი ჩენი დინამოების მაი- სურებზე დაიწყერინა ნომრები, ყველაზე „12“-ს დავაწერდი ამ გაბრაზებულ გულზე, და ასიც იქნებოდა.


გვარის თანამშენებლი: სიყვარული. აი რას ვხედავ მე ჩენს დაწესებულებაში, და რას ვერ ვხედავ თბილისის დინამოელთა თამაშში.

ფიზიკოსი: ჩენს ფეხბურთელებს დიდი ბოტენციალური ენერგია აქვთ. მხოლოდ იგი არასოდეს გადადის კინეტიკურ ენერგიაში. მათი ამ მდგომარე- ობიდან გამოყვანა შეუძლია იმპულსს, ბიძგს. მხოლოდ ვინ უნდა ჰქონას ეს ბიძგი დინამოელებს, ამაზე მეცნიერება, ჯერჯერობით, ვერაფერს აბიმბობს. ვფიქრობ, ეს დროც სულ მალე დადგება.


ფეხბურთის რადიოკომენტატორი: ... თქვენ გესმით გონგის ხმა, ეს ნიშავს იმას, რომ თბილისის „დინამოს“ აკლია სურების გრძელება, მაგრამ დარტყმა, კიდევ დარტყმა მათ შორის ფუნჯსაც ძლიერ კუსვამდინ. ანგარიშიც შეიცვლება.

ლუდის გამყიდველი: კაცო, ეს დინამოელები იქაფებიან, იქაფებიან და მოგება მაინც არ რჩებათ, საკვირველია პირდაპირ...

ხაუბარი ჩახერება ე. გიციანება



.....



პარტია გადადებულია.

ნაისართვები

ზოგი ასე აჭახრაკებს,—
თუკი არის მისი ნება,—
ივერისში აქეს შეებუდა,
აგვისტოში — მივღინება.

* * *
გონიერი კაცისათვის
გზა წიგნებით გაკვადულა,
უგუნური წიგნებს არჩევს
კარაღების სამვაუდად.

* * *
თუ გსურს გასჭრას მიმართვამ
უნდა ჩამე მიართვა.

* * *
არის გამგის ნათესავი —
იბერება გამგესავით.

* * *
ინჟინერი აშენებდა —
თვითონ სურდა აშენება.

* * *
მოხალტურის მაშინაო,
არც გარაუში, არც შინაო.

* * *
ცოდს მოუნდა აგარაკი —
იწყო ტკბილი ღაპარაკი.

* * *
ახალგაზრდა პოლტები
ამაყობენ მომეტებით.

რედაქტორი — ვახტანგ ჭელიძე.



1961 გვერდი ნაკვეთი

- საჭერის გრძელების საბუთების უსინჯაფნები და დაზღვრული საწევს ისახვდებია.
- ზორბენის ქურდღელი ისე იყო გამსხვილი, რომ მას ოქს მაღლიც არ დაჭიულდა.
- წირვის მსახიობი უმარტივეს ფორმულის ბეჭობდა, მაგურებლები კი ბირიდნ ცაცხლს ჰქონდნენ.
- ბეგრი წეალი ჩაიგდის და მხოლოდ მერე მოხსნას დგინდის სარდაფის გამგება.
- მომხსენებლის გაუთავეველმა ღაპარაკმა მსმენელებია გაათავს.
- აეგვიმდოდას დაგიწევებოდა, რომ ქუჩაში ფეხათ იყო გამოსული და გადასასვლელზე მწვანე სინაოდეს უწერდა.
- სტუმარს მატარებელზე დაგვიანებისა ეშინოდა, მასანიშებლის კა... უფრო მეტად.
- დაღვეულის თავზე პრესკურსის კითხულობდნენ.

ასევე რაიონის კოლმეურნობებს ცეკვშირი დროის არ აწედის დაგეგმილ ხე-ტყეს. ამის გამო, საუერმო მშენებლობათა დამთავრების საქმე ფეხზდება.

გაზოთებიდან

ნაბ. ი. მასინახი



— ხადგომი ხევადახევა აგვიშენებ, მაგრამ ცხოვრება,
ალბათ, ერთ პერქევე მოვაძლება.

სარედაციო პოლები: ა. ბელიაშვილი, მ. გიგინებშვილი,
ვ. თორიძე, კ. ლორთქიფანიძე, ხ. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

თბილისი. Сатирико-юмористический журнал „Ниангы“. Редакция и рисунки: მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტეл. 8-10-48.

გამომ. № 11, ხელმოწ. დასაბ. 21/VI-1955 წ. ქად. ზომა 70x108 1/0, 0,5, ნაბ. ფურც. 137. ზარია კოსტოკას სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42,
ზუგ. № 1125. ფ. 05351 ტირ. 25.000

ამერიკულმა გენერალმა გრიუნტერმა 19 მაისს ნიუ-იუკეში
მოწვეულ მერების კონფერენციაზე გულისტყვილით განაცხადა: ამო-
მის ბომბის აკრძალვა სიგიურ იქნებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკი



აცოშის ბომბის აკრძალვის შიშით გულს იხეთქს „გადია“,
ხალხთა მშვიდობა ჩად უნდა მას, ვისაც ომი სწადია?